საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2015 წლის 19 მაისის
დადგენილება № 1556

„უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 29-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ 21-ე მუხლის, სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის „29“ იანვრის №46 სხდომის №1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებისა და აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 13 მაისის №1 სხდომის ოქმის საფუძველზე აკადემიური საბჭო **ადგენს:**

1. სტუ-ს აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების თაობაზე ფაკულტეტის საბჭომ უზრუნველყოს განცხადების გამოქვეყნება მიმდინარე წლის 28 მაისს; კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2015 წლის 29 ივნისს და დასრულდეს 13 ივლისს. კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება უზრუნველყოს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიამ;
2. აკადემიურ საბჭოში კანდიდატების მიერ სამოქმედო პროგრამების საჯაროდ წარდგენა განხორციელდეს 2015 წლის 15 ივლისს;
3. ფაკულტეტის საბჭოში დეკანის არჩევნები გაიმართება 2015 წლის 20 ივლისს.
4. დამტკიცდეს დეკანობის კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა და განცხადების ტექსტი დანართი №1-ს შესაბამისად;
5. არჩევნები ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების და „მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ სტუ-ს დებულების შესაბამისად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

\